

**მწვანე ალტერნატივასა და ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის
ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები
მეტალურგიული საწარმო „ჭერკულესის“ საზოგადოებრივი განხილვისთვის
წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე**

29 იანვარი, 2013 წ.

1. პროექტის შესახებ

მეტალურგიული საწარმო „ჭერკულესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის თანახმად, პროექტი გულისხმობს დასავლეთ საქართველოში, ქ. ქუთაისში, სამრეწველო ზონაში, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოქმედი ობიექტის ტერიტორიის ნაწილზე, მეტალურგიული საწარმო „ჭერკულესის“ ექსპლუატაციას. პროექტის მიზანია რკინის ჯართის გადამუშავებით საარმატურე და კონსტრუქციული ფოლადის წარმოება. საწარმოს საპროექტო წარმადობაა 100 000 ტ/წ. ფოლადის გამოდნობა. საქმიანობის დასრულების ვადა დადგენილი არ არის. საქმიანობის განმახორციელებელია შპს „ევრაზიან სტილი“. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, შპს „ევრაზიან სტილის“ დაკვეთით, სავარაუდოდ, მოამზადა კომპანიამ „გარემოსდაცვითი ლაბორატორია“ (გზშ ანგარიშში ავტორი არ არის ნათლად მითითებული).

ყურადსაღებია, რომ მეტალურგიული საწარმო „ჭერკულესი“ 2008 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა, საწარმოს დღემდე არ გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს (სწორედ ამ ნებართვის მოსაპოვებლად მომზადდა განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიში). საწარმოს ფუნქციონირება არაერთხელ გახდა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მღელვარების საბაზი. კერძოდ, მოსახლეობა აპროტესტებს საწარმოს უკონტროლო მავნე გამონაბოლქვს, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. 2011 წლის სექტემბერში საპროტესტო აქციები გამართეს საწარმოში დასაქმებულებმაც; პროტესტის საგანი, ამ შემთხვევაში, იყო არასათანადო სამუშაო პირობები, კანონით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის შეზღუდვა და თანამშრომლების უკანონოდ დათხოვნა¹.

2. გზშ ანგარიშის ხარისხი

საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი გზშ ანგარიში მეტად დაბალი ხარისხისაა. სულ 169-გვერდიანი დოკუმენტის ძალიან დიდი ნაწილი გაჯერებულია მეტად უსარგებლო და არაინფორმატიული ნახაზებითა და ტექსტით. ხელოვნურად გაზრდილია ასევე ანგარიშის მოცულობა სტრიქონებს შორის დიდი დაშორებისა და დიდი ზომის ფონტის გამოყენების საშუალებით. წარმოდგენილი ანგარიშის უმეტესი ქვეთავები, ან საერთოდ ზედმეტია, ან არასრულყოფილია, ანდა ძალიან ზედაპირულად, ხშირ შემთხვევაში კი, საერთოდ არ ასახავენ იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს ამ თავებში მოცემული. ასეთი ქვეთავებია, მაგალითად:

- თავი 1. ტექსტში გამოყენებულ ძირითად მცნებათა და ტერმინთა განმარტებანი;
- თავი 2. საინჟინრო გეოლოგია და ჰიდროლოგია, რეგიონის ეკოლოგიური დახასიათება. ფლორა და ფაუნა ზემოქმედების არეში, რადიაციული ფონი;
- თავი 3. ალტერნატივების განხილვა, სოციალური ასპექტები;
- თავი 4. ხმაური და ა.შ.

¹ წყაროები: ნეტგაზეტი, 13 სექტემბერი, 2011, „ქუთაისში გაფიცულმა მუშებმა შიმშილობა დაიწყეს“: <http://netgazeti.ge/GE/73/News/6054/>; ტვ9, 26 აგვისტო, 2012, „ქარხანა ჭერკულესი“ (ვიდეო): <http://www.youtube.com/watch?v=DkN1PXvBLWk>;

თვალსაჩინოებისთვის, გზმ ანგარიშის ნაკლოვანებების აღსაწერად, ქვემოთ რამოდენიმე მაგალითს მოვიყვანო:

1. წარმოდგენილ გზმ ანგარიშში არ არის განხილული თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოზე და ახლომდებარე დასახლებულ არეალებზე; არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად არ არის დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებები.

2. წარმოდგენილი გზმ ანგარიშის კვლევაში გამოყენებული მონაცემები არ იწვევს ნდობას, მაგალითად: 11.1 ქვეთავში (კლიმატი და ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ობიექტის განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება) მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურა, ატმოსფერული ჰაერის საშუალო მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, საშუალო ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ფარდობითი და აბსოლუტური ტენიანობა და ა.შ. ცხრილების სახით. წარმოდგენილი მონაცემები არასრულყოფილია რადგან, ისინი მოცემულია მხოლოდ თვეების და არა წლების მიხედვით. არასრულყოფილი და ზედაპირული მიდგომა ამ საკითხისადმი, გზმ ანგარიშის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს.

3. 11.2 ქვეთავი „საინჟინრო გეოლოგია და ჰიდროგეოლოგია“ შესაძლოა ითქვას, ერთ-ერთი უსუსტესია გზმ ანგარიშში. აღნიშნულს სულ რაღაც ერთი ფურცელი აქვს დათმობილი, სადაც ერთი და იგივე ინფორმაცია ორ გვერდზე მეორდება. ქვეთავში ნათქვამია, რომ „2009 წლის 1 დეკემბერს 91/37 წ. „ევრაზია სტილის“ დაკვეთის საფუძველზე შ.პ.ს „კარიბჭეს“ ინჟინერ გეოლოგმა ოთარ ჩაჩაემ ჩაატარა სამუშაოები“, თუმცა, დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ჩატარებული სამუშაოებიდან მიღებული რაიმე მონაცემები. უბრალოდ, დასკვნის სახით (გაუგებარია, რის საფუძველზე), ნათქვამია, რომ „საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება კარგ გეოლოგიურ პირობებში, რადგან არ აღინიშნება უარყოფითი ფიზიკო-გეოლოგიური პროცესები“. რაც შეეხება „ჰიდროლოგეოლოგიურ კვლევას“, ამ ნაწილს გზმ ავტორი მხოლოდ ერთი წინადადებით შეეხო, რომ „ჰიდროლოგეოლოგიურად საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით 6 მ-ის სიმაღლეზე“ (აქაც, გაუგებარია, რის საფუძველზეა ეს დასკვნა გაკეთებული).

4. კრიტიკას ვერ უძლებს 11.5 ქვეთავი „რადიაციული ფონი“, რომელიც აგრეთვე სულ რამოდენიმე წინადადებით შემოიფარგლება. ამ შემთხვევაშიც, გზმ ავტორი მხოლოდ ერთი წინადადებით აღნიშნავს, რომ „გაზომვის შედეგებით საკვლევი ტერიტორიაზე რადიაციულმა - გამა ფონმა შეადგინა 8-12 მკრ/სთ, რაც დამახასიათებელია აღნიშნული მიდამოებისათვის“. მკითხველისათვის სრულიად გაურკვეველი რჩება, მაგალითად: თუ რატომაა დამახასიათებელი ზემოაღნიშნული 8-12 მკრ/სთ გამა ფონი აღნიშნული მიდამოებისათვის? ნიშნავს, თუ არა ეს, რომ ფონი უსაფრთხოა ადამიანთა ჯანმრთელობისთვის? რატომ შეირჩა ფონის გასაზომად მხოლოდ „ტერიტორიის ღია ნაწილები“?

5. საგულისხმოა, რომ მსგავსი საწარმოს მშენებლობის დროს სრულად უნდა იყოს მიმოხილული ემისიები, მათი ზეგავლენა გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე და შესაბამისად, დადგენილ იქნეს შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნულიც, წარმოდგენილ გზმ დოკუმენტში მეტად ზედაპირულად, არადაამაჯერებლად, დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში და მკითხველისათვის ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. მაგალითად, მე-13 ქვეთავში (შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკა) რამოდენიმე სიტყვით ნათქვამია, რომ „პროდუქციის წარმოებისას ჰაერში გამოიყოფა: რკინის შემცველი არაორგანული მტვერი, ნახშირორჟანგი, აზოტის ჟანგბულები“. აღნიშნული საკითხი განხილულია ასევე მომდევნო, მე-4 თავის დასაწყისში, (თუმცა, ასევე ბუნდოვნად და მეტად ზედაპირულად). ანგარიშის ეს ნაწილიც გაჯერებულია არაინფორმატიული და გაუგებარი ცხრილებით და არაფრისმთქმელი ტექსტით. 22-ე ქვეთავში (გვ. 68) მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა დახასიათება, თუმცა, სრულიად გაურკვეველია, რისი მაჩვენებელია აღნიშნული ცხრილი - ზღვრულად დასაშვები ნორმების, თუ საწარმოს მიერ გამოფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობის? ამავე ქვეთავში მოცემულია, თუ რა ზეგავლენა აქვს ზოგადად აზოტის დიოქსიდს, გოგირდის დიოქსიდსა და ნახშირბადის ოქსიდს ადამიანის ჯანმრთელობაზე, თუმცა, ანგარიშში არ არის მკითხველისთვის ნათლად წარმოჩენილი, თუ რა რაოდენობით გამოყოფს საწარმო ამ ნაერთებს და გადააჭარბებს, თუ არა გაფრქვევები დასაშვებ ოდენობებს.

6. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი, როგორცაა გარემოსდაცვითი ღონისძიებები (მე-16 ქვეთავი) მეტად არასრულყოფილადაა განხილული. ამ საკითხსაც სულ რაღაც ნახევარი გვერდი ეთმობა. ანგარიშის მე-16 ქვეთავის თანახმად, „მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფაზაში, ასევე მუშა პროექტის ტექნოლოგიის მიხედვით ოპერირების ფაზაში შესრულებული იქნება მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა წარმოებისას არ უნდა დაირღვეს გარემოზე ზემოქმედების ნორმატივები და მოთხოვნები“. დოკუმენტში არასრულყოფილადაა ჩამოთვლილი ის გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რომლებსაც გაატარებს საწარმო, მომავალში წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

3. პროექტის აღწერა, დასახლებულ არეალებთან სიახლოვე და მიზანშეწონილობა

პროექტის აღწერა არასრულყოფილადაა ჩამოყალიბებული გზმ ანგარიშში. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი, როგორცაა პროექტის ადგილმდებარეობა დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული. რაც შეეხება საწარმოს დაშორებას დასახლებული ტერიტორიიდან, აღნიშნულზეც ინფორმაცია სხვადასხვა ქვეთავებში მეტად ზერელედ და გაურკვეველადაა წარმოდგენილი. მაგალითად: 11.4 ქვეთავში ნათქვამია, რომ „ობიექტის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს XX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევარში აშენებულ და დღესაც უმეტესწილად მოქმედ საწარმოთა ერთობლიობას, რომელიც 500 მეტრით დაცილებულია საცხოვრებელ ზონას“; მომდევნო ნაწილში კი, ნათქვამია, რომ დაცილება უახლოესი დასახლებული პუნქტებიდან 550 მეტრია; გზმ ანგარიშის მე-13 ქვეთავის მიხედვით კი, „საწარმო განლაგებულია სამრეწველო ზონაში, დაცილებულია დასახლებული პუნქტებიდან 950 და 450 მ-ით“. მკითხველისათვის საბოლოოდ გაუგებარი რჩება, სინამდვილეში, რა მანძილითაა დაშორებული საპროექტო ტერიტორია დასახლებული ტერიტორიებიდან. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რათა სრულფასოვნად შეფასდეს პროექტის ზეგავლენა მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიებზე და ზეგავლენის შემთხვევაში, დადგინდეს შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები.

რაც შეეხება პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, ეს საკითხი საერთოდ უგულვებელყოფილია წარმოდგენილ გზმ ანგარიშში. საერთოდ არ არის განხილული პროექტის საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა შეაფასონ და აწონ-დაწონონ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

4. ალტერნატივების ანალიზი

გზმ კვლევის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია ალტერნატივების ანალიზი, თუმცა, ეს საკითხიც ძალზე ზერელედ, სულ რამოდენიმე წინადადებითაა წარმოდგენილი ანგარიშში (მიუხედავად იმისა, რომ ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი). დოკუმენტში ნათქვამია შემდეგი: „გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ ობიექტი არ შექმნის უახლოეს საცხოვრებელ შენობებთან მავნე ნივთიერებათა ემისიების ნორმატივზე მავნე კონცენტრაციებს, ამიტომ ალტერნატივების განხილვის საჭიროება არ არსებობს“. ამ წინადადებიდან სრულიად გაუგებარი რჩება, რით ამართლებს აღნიშნული გარემოება ალტერნატივების, მაგალითად, თუნდაც, ტექნოლოგიური ალტერნატივების განუხილველობას.

ვინაიდან გზმ ანგარიში მომზადებულია არსებული საწარმოსთვის, ნათელია, რომ ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვა აზრსაა მოკლებული, თუმცა, სხვა დონის ალტერნატივების განხილვა აუცილებელია. ალტერნატიული ვარიანტების განუხილველობა, გზმ ანგარიშის მეტად მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს.

5. ნარჩენების მართვა

ანგარიშში ცალკე თავადაა გამოყოფილი ნარჩენების მართვის საკითხები, თუმცა, თავში წარმოდგენილი ინფორმაცია უბრალოდ ნარჩენების მართვის თეორიული საკითხების მიმოხილვაა. დოკუმენტში

წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, თუ რა დაემართება საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებს და სად მოხდება მათი საბოლოოდ განთავსება. აგრეთვე არ არის მითითებული, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი წარმოქმნილი ნარჩენების საბოლოო განთავსებაზე. გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ძალზე ზედაპირულია. მაგალითად, ცხრილში „სამრეწველო ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა“ ნათქვამია შემდეგი: „ნარჩენები საბოლოოდ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას“, აგრეთვე, „დაგროვების შედეგად გადაეცემა უფლებამოსილ კონტრაქტორს“. მსგავსი ინფორმაცია, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხს არ იძლევა.

თუკი საბოლოოდ ნარჩენების განთავსება მოხდება ნაგავსაყრელებზე, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ დღეისათვის საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების უმეტესი ნაწილი (მათ შორის, ქუთაისის ნაგავსაყრელიც, რომელიც სავარაუდოდ, უახლოეს წლებში დაიხურება) ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ გარემოსდაცვით სტანდარტებსაც კი; ამდენად, აუცილებელია შესწავლილ იქნეს პროექტის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო, საყოფაცხოვრებო თუ საშიში ნარჩენების ზეგავლენა როგორც წარმოქმნის, ისე ნარჩენების განთავსების ადგილებზე.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი გზშ ანგარიში ძალზე დაბალი ხარისხისაა და ის არ იძლევა საშუალებას, შეფასდეს, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოსა და მოსახლეობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ამ სახით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის / ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად წარდგენა, ყოვლად მიუღებელია.